

## მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ბათუმი

„12“ „12“ 2016 წელი

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, კვლევებისა და სწავლების ინტეგრირების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების და დაახლოების პრაქტიკული განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი თანხმდებიან თანამშრომლობაზე სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო-კვლევით საკითხებში.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- აკადემიური განათლების შემოქმედებითი და სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- აკადემიური პროგრამების თავსებადობას კურიკულუმის კონსტრუირების, სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ჩარჩოს ფარგლებში;
- თეორიული და საშემსრულებლო მიმართულების სპეციალისტთა მიერ მასტერკლასების, საჯარო ლექციების და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას;
- პროფესიული დონის ამაღლებაში, სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაზრდაში და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციისათვის ხელშეწყობას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას

## მუხლი 1

- 1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.
- 1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურს გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პედაგოგები, სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართული სტუდენტები, თანამშრომლები და სპეციალისტები.
- 1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო, სასწავლო-შემოქმედებით და სანახაობით პროექტებს.
- 1.4. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.
- 1.5. უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

## მუხლი 2

- 2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 2.2. მხარეთა შორის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

## მუხლი 3

- 3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
- 3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
- 3.3. მემორანდუმი ძალაშია 2 (ორი) წლის განმავლობაში.
- 3.4. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების  
სასწავლო უნივერსიტეტის  
რექტორი, პროფესორი

 ერმილე მესხია

საქართველო, ბათუმი,  
ლუკა ასათიანის ქ. № 37  
ტ. +995(422) 27-86-67; +995(422) 27-98-95;  
ელ. ფოსტა: [info@batu.edu.ge](mailto:info@batu.edu.ge)  
ვებ.გვ. [www.batu.edu.ge](http://www.batu.edu.ge)

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რექტორი

 ირმა შიოშვილი

საქართველო, თელავი,  
ქართული უნივერსიტეტის ქ. № 1  
ტელ: +995(0350) 27-24-01  
ელ. ფოსტა: [info@tesau.edu.ge](mailto:info@tesau.edu.ge)  
ვებ.გვ. [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge)